The views expressed in this essay are those of the author and do not necessarily reflect the views of the United Nations Economic Commission for Europe, the Georgian Government or any Georgian authorities.

# დაბერება საქართველოში

## პატივი ეცით სიბერეს - ის თქვენი მომავალია.!

*ლამზირი (იზოლდა) ცინცაძე, 71 წლის, ჩოხატაური*

კითხვას- რას ნიშნავს დაბერება საქართველოში; პასუხი სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს. პირველი და მთავარი: ჩვენ ხომ ყველანი ვბერდებით?!- ეს დაბერება დაწყებულია დაბადებიდან და მთელი ცხოვრების მანძილზე ქრონიკულად გრძელდება. ეს ჩვეულებრივი პროცესია და იგი მისასალმებელია რამე თუ მისი ალტერნატივა ნაადრევი სიკვდილია. ეს პროცესები ხომ ყველგან ერთნაირია და მათ შორის საქართველოშიც, XX-ე საუკუნე დასრულდა, XXI საუკუნის პირეველი ათეულიც მიითვალა საქართველოს ისტორიამ და ჯერ კიდევ ვერა და ვერ დადგა ქართველი კაცის ცხოვრებაში ის დრო, როცა განმტკიცდება ფასეულობები, რომელიც მნიშვნელოვანი იყო და არის როგორც ერის არსებობისათვის, ისე ცალკეული პიროვნებებისათვის: ოჯახი- სადაც შვილები, მშობლები და მათი წინაპრები ცხოვრობს, სადაც არის პასუხისმგებლობა მშობლისა შვილების წინაშე- რომელიც დროთა განმავლობაში იცვლება შვილების პასუხისმგებლობით მშობლების მიმართ. ეს გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში - ამიტომ ვერ ნახავდით საქართველოში მათხოვარს თითქმის ვერც ერთ ასაკში, მაგრამ ქვეყნის ავბედობამ გაამრუდა ყველაფერი - ახლა დროა ისეთი. რამე თუ მთელ მსოფლიოში გაფანტულან ქართველები, შინ დარჩენილებმა რომ არსებობა შეძლონ, წასულებიდან ბევრი ახალგაზრდა იყო და ხანდაზმული გახდა. ზოგიც ბავშვობიდან ემიგრანტია და დაიწყო მისი ბრძოლა არსებობისათვის.

ასე რომ, საქართველოში სიბერე არ არის ადვილი. ბევრ ხანდაზმულს შორს წასული შვილები ენატრება, არ იცის იქ რით ირჩენს თავს, ზოგი ისე მიდის ამ ქვეყნიდან შვილის ნახვას და მის ცრემლს ვერ იღებს (ასე მნიშვნელოვანი რომ არის ქართველისათვის)- ხანდაზმულთაგან ბევრი იმედად უდგას ოჯახს გვერდით. მიუხედავად ყველაფრისა შერჩენილი აქვთ: ემოციურობა, ინტელექტუალობა და და ყველა ის თვისება, რითაც ახალგაზრდებზე უფრო მხნედ ხვდებიან წინააღმდეგობებს, ამხნევებენ გვერდით მყოფებს, აძლევენ მაგალითს- სიცოცხლის ხალისს, რომ ნებისმიერ დროს შეძლონ, დაინახონ დადებითი, უარი თქვან ნეგატიურზე, ყველა ასაკში აღმოაჩინონ ნათელი, ბედნიერი დღეები. მაგრამ ბევრსაც გული გაუტეხა ცხოვრებამ და “ბომჟები” გახდნენ.

საქართველოს მოსახლეობა ოდითგანვე სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩეოდა, რაც პირდაპირ კავშირში იყო ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრებასთან. ცხოვრების ნორმალურ და ზომიერ წესზე. თანამედრვებამ ბევრი რამ შეცვალა და მეტნაკლებად სიცოცხლის ასაკიც შემცირდა. ცივილიზაციამ სტრესი და სხვა პრობლემები მოიტანა და იმ საქართველოში სადაც მათხოვრობა არ არსებობდა, XX საუკუნის 90- იანი წლებიდან ესეც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და რას ნიშნავს დაბერება საქართველოში? - დარდს და ნაღველს ოჯახზე, ახლობელზე, სამშობლოზე. თუმცა ასეთ დროსაც ახერხებენ გაახარონ ერთმანეთი, ოჯახის წევრები, ახლობლები და დაუმტკიცონ, რომ ქვეყნისთვისაც ბევრი რამის კეთება შეუძლიათ.

ასოციაცია „ვარგესთან“ არსებულ ხანდაზმულთა კლუბის ფუნქციონირებიდან სულ რამდენიმე შეხვედრის შემდეგ გაჩნდა სურვილი თაობებს გაეზიარებიათ გამოცდილება და დახმარებოდნენ ერთმანეთს. ჰარმონიულად ემოქმედოთ სულიერების მოთხოვნილების გადასაწყვეტად (მაგ. შეხვედრა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და განხილვა გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებისა) ჩაწერილია ვიდეოზე. შეხვედრებმა დაამტკიცეს, რომ ხანდაზმულებს შესწევთ უნარი აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობაში, გაახარონ და იმედი მისცენ ახალგაზრდებს, დაარწმუნონ, რომ ნებისმიერ დროში შეიძლება ბედნიერები იყვნენ, თუ სიყვარულით, პასუხისმგებლობით მოეკიდებიან თავიანთ თავზე აღებულ ვალდებულებებს.

**ცხოვრებისაგან მიღებული გაკვეთილები და რჩევები ახალ თაობას**

ყველა განვლილი გაკვეთილი ჩემი ცხოვრებისა, სულ უფრო ამტკიცებს შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა ყველაზე მთავარია. როცა მომავალს ირჩევ, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ, შრომით საქმიანობას- მას პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდო, რადგან ნებისმიერ საქმეს აქვს უარყოფითი და დადებითი მხარე. თავიდანვე შენ უნდა გჯეროდეს, და მიაღწევ რასაც გინდა, სხვას ნუ უყურებ. ზოგს ადვილად გამოსდის, შენ მეტი დრო გჭირდება- მაგრამ მიაღწევ აუცილებლად- ოღონდ არ გაუბრაზდე არც სხვას და არც საკუთარ თავს. მხოლოდ დაფიქრდი იქნებ ღმერთს არ სურს ამის შესრულება და თუ ასეა, მაშინ დაფიქრდი, იქნებ არ არის კარგი შენი სულისთვის მისი შესრულება, მაგრამ ეს ათასში ერთხელ ხდება. ვიმეორებ, ყველა საქმეში არის დადებითი ენერგია და არის უარყოფითიც, - შენ მონახე დადებითი ენერგიის განვითარების გზა და უსათუოდ შეგისრულდება: როცა დადებით ენერგიას ანვითარებ არავისი არ გშურს, არ იბოღმები, არ ბოროტდები - ეს ყველაზე კარგად აისახება საქმის შესრულებაზე, შრომის მოყვარეობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზეც.

არ მინდა იფიქროთ, რომ ეს ცარიელი სიტყვებია, ეს ცხოვრებაა და უსათუოდ გამოგივა თუ იწამებ. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

ახალგაზრდამ რომ იცოდეს,
და სიბერეს რომ შეეძლოს
მაშინ კაცი სულ სხვაგვარად
გაიტანდა ქვეყნად ლელოს

არასდროს დაივიწყოთ თქვენ ცხოვრებაში ბიოლოგიური არსებობის რომელი საათიც არ უნდა იყოს- ვგულისხმობ: ბავშვობას, ახალგაზრდობას, შუახანს თუ ხანდაზმულობას - სულ არსებობს სასწაულები, ოღონდ იგრძენით, დაინახეთ, ისარგებლეთ და სხვასაც გაუზიარეთ - რამეთუ სხვისთვის სიკეთის კეთება უფრო ბედნიერს გაგხდით ვიდრე სარგებლის სულ სხვისგან მიღება.

**რას შეცვლიდით საქართველოში დაბერებასთან დაკავშირებული პოლიტიკის ჩარჩოში**

საქართველოში, როგორც მსოფლიოში ზოგადად, სიყვარულის ნაკლებობაა, სიყვარული მოყვასისადმი, სიყვარული და პატივისცემა დაკისრებული მოვალეობისადმი - როცა ამ მხრივ მენტალიტეტი შეიცვლება, შეიცვლება დამოკიდებულება ხანდაზმული ქართველის მიმართ.

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ საკითხის გადაწყვეტით არიან დაინტერესებული, მეტ მხარდაჭერას მოიპოვებენ ხელისუფლების მხრიდან, ხელისუფლება ყურს დაუგდებს საზოგადოების ფენებიდან წამოსულ მოთხოვნებს, იზრუნებს მის გადაწყვეტაზე და არ დაელოდება რას იტყვიან ზემოთ?!

საკუთარი გამოცდილებიდან გიამბობთ: როცა იცი რომ შეიძლება მოაწყო ხანდაზმულთა შეკრების ადგილი, არასამთავრობო ხარ და რა თქმა უნდა ხელისუფლების იმედად არ უნდა იყო, მაგრამ საკუთარი ხალხისათვის -მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია შემოგთავაზოს საკუთარ რაიონში შენობა ან ბინა, (სხვა რაიონში ხომ ვერ წაიყვან ყოველთვის ხალხს?), რაღაც თანხა მოგცეს თანადაფინანსებისათვის. რომელიც 500 ლარიდან არ გადაცდება 3200 ლარს, პასუხი ასეთია: ბიუჯეტში თანხა არ არის. ბინაც არის - მაგრამ ამ საქმისათვის არ არის და ყველაფერ ამისთვის ბრძოლა გიხდება. პასუხი აქაც ასეთია: ზემოდან არ არის დადგენილიო. ამიტომ მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს იმ ადამიანებისა, ვინც არჩევნებამდე გულშემატკივრობას გვიცხადებს და საკუთარ თავს დეპუტატად გვთავაზობს, თუ ჩემი სოფლის დეპუტატი ჩემი სოფლის სატკივარით არ იცხოვრებს, ხოლო მუნიციპალიტეტის დეპუტატი მთელი მუნიციპალიტეტის სატკივარით, მაშინ არ შეიცვლება დაბერების მიმართ პოლიტიკა საქართველოში, რამეთუ ადგილობრივი კადრი უნდა დაინტერესდეს საკუთარი სოფლის, მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა ინტერესებით. აქედან გამომდინარე, ითანამშრომლებს ყველასთან ვისაც ეს შეეძლება, მიიღებს და მოძებნის სამთავრობო გზებს.-

დაინტერესებული არასამთავროები თვით მიაკითხავენ - შეეცდება ყველა გზით მოპოვებული მხოლოდ საქმისათვის დაიხარჯოს და  გრძნობდეს ანგარიშვალდებულად თავს ხალხის წინაშე.

ხანდაზმულებს სჭირდებათ: პანსიონატის ტიპის დაწესებულებები, სადაც იქმნება პირობები

ა) ჯანმრთელობის მიმართ ყურადღებისა

ბ) ორჯერადი კვება მაინც

გ) უნარების გამოვლენისა და მისი სხვებისათვის გადაცემის საშუალება (ურთიერთ კავშირი თაობებს შორის)

დ) მოეწყობა სხვადასხვა თვალსაჩინოებები (გამოფენები), იყო ყველა დარგის ხანდაზმულთა მიმართ ყურადღების გამოვლენა. პედაგოგი, მედიცინის მუშაკი, სოფლის მეურნეობის და ა.შ. განსაზღვრულ რიცხვებში სხვადასხვა თვეებში ჰქონდეთ მათ შეხვედრები ახალგაზრდობასთან, სადაც ხანდაზმულები წარმოჩინდებიან, ხოლო ახალგაზრდები წახალისდებიან.

ე) მედია საშუალებებით გადაცემების ან რუბრიკა „მოძღვარის „ დამკვიდრება.  ვიდეო და ფოტო სესიები.

აქ ალბათ გამოიკვეთება ნაწილი  ხანდაზმულებისა, რომელთაც  მუდმივი თავშესაფარი სჭირდება, რადგან პანსიონატის ტიპის დაწესებულება მხოლოდ დროებით მომსახურეობას გულისხმობს, რამდენიმე საათიდან - რამდენიმე დღის ჩათვლით.

იმედს ვიტოვებთ, პრობლემის გადაწყვეტა თანდათანობით გახდება შესაძლებელი, რომ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში იყოს პანსიონატის ტიპის დაწესებულებები და ერთი ხანდაზმულთა თავშესაფარი მაინც.

**Getting Old in Georgia: Respect Old Age – It Is Your Future!**

Lamziri (Izolda) Tsintsadze, 71, Chokhatauri

What does it mean to get old in Georgia? There are many different answers to this question. The first answer is the most important: we are all getting old! Ageing starts from the day we are born and goes on for the whole of life. It is an ordinary process and is an expected outcome, its only alternative being early death. These processes are the same everywhere, including Georgia. The 20th century is gone; the first 10 years of the 21st century have added to Georgia's history but values important for the nation and individuals have not been strengthened in Georgia yet: family - where children, parents and their grandparents live together, where a responsibility of parents for their children exists and which is different as time goes on. This was a usual pattern for many centuries and that's why it was difficult to find a beggar of any age in Georgia. Misfortunes faced by Georgia have changed everything. Now it is a different time. Georgians are scattered worldwide to support those who stayed at home to survive. Many of those who went abroad were young but now they are old. Some emigrated in childhood and since then they have started their struggle for existence.

Getting old is not easy in Georgia. Many old people miss their children and do not know how they make both ends meet abroad. Some die without seeing them and their children cannot grieve for them (that is very important for Georgians). Many old people give hope to their families. Despite everything, they still have emotions, intellect and the ability to face challenges, sometimes greater than young people have. They cheer up their relatives and give them examples of how to enjoy life, to see the positive in everything and every situation, to say no to negative things and to find good and happy days. But some have had their hearts broken and they became tramps.

The Georgian population was distinguished for its longevity that was directly linked with a life in an ecologically clean environment, and a normal and abstemious life. Modernity has changed a lot and reduced life expentancy to a certain extent. Civilization has brought stress, other problems and begging, which has become a regular thing since the 1990s. The answer to the question what is like to get old in Georgia is sorrow and concern for family, relatives, friends, the motherland. Though people do manage to make each other, their families and friends happy and confirm that they can do many good things.

Just a couple of meetings at the Old Age People's Club of the association revealed a willingness for older people to share their experience with other generations, to assist each other, and to harmoniously meet spiritual needs, for example, a video of a meeting with the public school pupils and a discussion on Goderdzi Chokheli. The meetings showed that old people are able to actively participate in public life, to make people happy, to give promise to a younger generation, to show them that a man may be happy any time if his duties are carried out with love and responsibility.

**Life Lessons and Advice to New Generation**

My life, all that I have done, once again confirms that diligence and responsibility are the most important things. When you choose your future, you should treat your job seriously as any job has its pros and cons. You should have a belief and thus you can achieve everything; do not look at others. Some people achieve everything easily, while you may need more time – but nevetherless you can achieve your goals, but do not get angry with others or yourself. You may want to think for a moment and see why God does not want something to happen and, if so, maybe it is not good for your soul, but this happens once in a while. I would like to repeat that all jobs and tasks have a positive and negative energy. You should find a way to develop positive energy and make it happen. When you develop a positive energy, you are not envious, jealous or cruel - this has a positive impact on performance, diligence and life expectancy.

I do not want you to think that these are only words… This is life and you will achieve everything if you have a belief. That's why it is said:

> If the youth knew,
> And the old could,
> Then a man would try things differently.

Do not forget whatever age you might be – childhood, youth, middle age or old age - that miracles exist but you should feel, see, use and share them with others, as doing things for others will give you more happiness than getting things from others.

**What Would I Change in Georgia in Relation to Old Age from a Political Perspective?**

There is a lack of love, love for people, love of responsibiltiies in Georgia, like elsewhere. When this attitude is changed, the attitude will change towards old people.

NGOs that are interested in addressing these issues will get more support from the government, the government will listen more carefully to people's concerns, try to resolve them and will not wait to find out what their bosses will say!

I would like to share my own experience: when you know that it is possible to arrange a place for old people to meet, you understand that as an NGO you can't always rely on the government but only the government has the authority to allocate a building or apartment in its district (you can't always take people to other regions) and cost-share expenses that may be GEL 500-3200, and the answer you get is: there are no funds in the budget. There is an apartment but not for this activity and you have to fight for all these things. The response in this case is: my bosses should give me a command. That's why the attitude of those people who promised to help my village or municipality if he/she gets elected has to be changed; otherwise policy, in terms of old people, won't change in Georgia as the local authorities should be interested and engaged in the life of their village or municipality. He/she will cooperate with everyone who can do this, find ways to get government support (interested NGOs will come themselves) and feel responsibility for people.

Old people need new boarding houses where

a) it will be possible to get medical care;

b) at least two meals a day will be provided;

c) there will be an opportunity to share with others, such as interaction between generations;

d) different events/exhibitions will be organized and attention paid to old people of all professions, teachers, doctors, agricultural specialists and so on; regular meetings will be arranged with young people so that old people have an opportunity to present themselves, whilst youth get encouragement.

e) media programmes, video or photo sessions will be arranged.

There will be some old people who will regularly need a shelter as the above institutions usually only operate for several hours a day or several days a week.

I hope that it will be possible to solve problems gradually and that each village and municipality will have such boarding houses and at least one permanent shelter.